ოქტომბერი
ბიბლიოთეკა

დიდებულ დიდ ოქტომბერს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 255 (12169)
ორშაბათი,
6
ნოემბერი
1961 წ.
გამოცემის 42-ე წელი

ფასი 2 კაპ.

ნახ. ი. ჭოკიაშვილისა.

ლენინური პარტიის ისტორიული ყრილობა

მუშაობა დამთავრა სიბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობამ. ეს იყო დელეგატთა რაოდენობის მიხედვით უველაზე წარმომადგენლობითი ყრილობა პარტიისა, რომელიც სათავეში უდგას დიდ ხალხს. ყრილობის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს თითქმის უველა მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიის წარმომადგენლებმა. ეს ყრილობა განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს სიბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, მთელი კაცობრიობის განვითარებაში.

სიბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან შეაჯამა სიბჭოთა ხალხისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — ლენინური პარტიის გმირული შრომისა და უანგარო ბრძოლის დიდებული შედეგები, მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელმაც მთელი მსოფლიო აალელვა, აალაპარაკა, რომელსაც სიხარულით შეხვდა მილიონობით ადამიანი უველა ქვეყანაში. ყრილობამ დასახა კაცობრიობის ნათელი, მშვენიერი პერსპექტივები მის ტრიუმფულ წინსვლაში დედამიწაზე უველაზე უკეთესი და მშვენიერი საზოგადოებისაკენ — კომუნიზმისაკენ, რომლის დროშაზე ელვარებენ სიტყვები: მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, უველა ხალხის თანასწორობა, ძმობა და მეგობრობა.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებსა და მის სამოლოო სიტყვაში, სხვა ორატორთა გამოსვლებში, ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გაზე ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, სიბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამასა და წესდებაში მოცემულია პასუხი თანამედროვეობის მთავარ საკითხებზე.

„ახალი პროგრამა რომ მიიღო, — ამბობდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი,— XXII ყრილობამ მთელი მსოფლიოს წინაშე გამოაცხადა, რომ სიბჭოთა კავშირის ხალხები კომუნისტური პარტიის მეთაურობით, ხელმძღვანელობენ რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით მაღლა აღმართავენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის დროშას. კომუნისტური საზოგადოების აშენება პარტიისა და ხალხის პრაქტიკული ამოცანა გახდა“.

სკკპ ახალ პროგრამას, ყრილობის დოკუმენტებს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ.

მიმართა რა დელეგატებს, ამხანაგმა ვლადისლავ გომულკამ დაახასიათა სკკპ XXII ყრილობის ეს მხარე და თქვა: „თქვენს სხდომებს, ამხანაგებო, თქვენს გადაწყვეტილებებს, თქვენს მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს უველა კომუნისტური და მუშათა პარტიისათვის, უველა სოციალისტური ქვეყნისათვის, უველა ხალხისათვის, მთელი კაცობრიობისათვის“.

საზეიმოდ გაისმის ამხანაგ მორის ტორეზის სიტყვები ჩვენი ყრილობის შესახებ: „და აი, ახლა ისტორიაში იწერება ახალი ფურცელი“. „ეს იყო დიადი ყრილობა როგორც იმ პრობლემებით, რომლებიც ყრილობაზე იყო წამოყენებული, ისე მათი განხილვის შედეგებითაც, — განაცხადა ამხანაგმა პალმირო ტოლიატიმ, — ვფიქრობ, იგი დიდ გავლენას მოახდენს არა მარტო სიბჭოთა კავშირის განვითარებაზე, არამედ მთელ საერთაშორისო ურთიერთობაზეც“.

კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის საკითხების განხილვა მჭიდრო არის დაკავშირებული საერთაშორისო განვითარების უველა თანამედროვე პრობლემასთან, დიდად საინტერესოა მსოფლიოს პროგრესული ძალებისათვის. სიბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობა მას მიაჩნია სიბჭოთა ხალხის დიად ინტერნაციონალურ ამოცანად, რომელიც შეესაბამება მსოფლიო სოციალისტური სისტემის ინტერესებს, საერთაშორისო პროლეტარიატის, მთელი კაცობრობის ინტერესებს.

მარქსისტულ-ლენინურმა მოძღვრებამ კომუნიზმის შესახებ ყრილობაზე თავისი შემდგომი შემოქმედებითი განვითარება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში, უველა სოციალისტურ ქვეყანაში ახალი საზოგადოების მშენებლობის გამოცდილების, მოძმე პარტიების ბრძოლის გამოცდილების გათვალისწინებით. სკკპ პროგრამა, რომელიც ყრილობამ მიიღო, მარქსიზმში პირველად იძლევა კომუნისტური საზოგადოების გაშლილ სურათს, რომელიც უკვე შენდება ჩვენს ქვეყანაში, პროგრამა გვიჩვენებს კომუნიზმის აშენების გზებსა და საშუალებებს.

ახლა უველასათვის ცხადი ხდება, თუ რას წარმოადგენს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მისი საზოგადოებრივი უთანაბრობა, როგორია ამ საზოგადოების ადამიანის სახე, მისი მსოფლმხედველობა და მორალი.

ჩვენი პარტია სრული საუფლებით ამბობს: ვისაც სურს იცოდეს, თუ რა არის კომუნიზმი, — დაე იკითხოს სიბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. ისტორიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა დოკუმენტი, რომელსაც ასეთი მკაფიოდა, ასეთი სისავსით, ასე სწორად და ზუსტად გამოეხატა, წარმოესახა კომუნისტური იდეალები. ეი რატომ არის, რომ უველა მომძმე მარქსისტულ-ლენინურმა პარტიამ სიბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამას სამართლიანად უწოდა ჩვენი ეპოქის კომუნისტური მანიფესტი, მიაჩნია იგი დიდ წვლილად მარქსიზმ-ლენინიზმში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საერთო საქმეში.

მსოფლიო გააოცა ჩვენი პარტიის შთაგაფიქრისა და ვარაუდის მეცნიერულმა სიღრმემ, შემართებულმა გამბედაობამ და დიდმა სიზუსტემ. უველა პროგრესული ადამიანი ხედავს კომუნიზმის უდავო უპირატესობებს კაპიტალიზმთან შედარებით, უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ კაპიტალიზმს არა აქვს მომავალი, არა აქვს პერსპექტივები, მისი დრო წავიდა.

პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც ყრილობამ მიიღო, არის ყოვლისმომცველი, გრანდიოზული პროგრამა თავისი სიბოლოო მიზნებით და სრულიად რეალური მათი განხორციელებით, თავიდან ბოლოდე შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული პროგრამა. მისი შემუშავება შესაძლებელი გახდა პარტიის მიერ უკანასკნელ წლებში გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგად, პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის, ანტიპარტიული ჯგუფის იდეური, პოლიტიკური და ორგანიზაციული განადგურების, სკკპ XX ყრილობის ლენინური კურსის გამარჯვების შედეგად.

სკკპ ახალი პროგრამა მოიცავს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების უველა მხარეს, მასში მოცემულია ულრმესი მარქსისტულ-ლენინური ანალიზი და მეცნიერული დასაბუთება კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლისა, რომელიც თანამედროვე ეპოქის ძირითადი ნიშნისთვისაა. იგი აყენებს ჩვენი პარტიის პრაქტიკულ ამოცანებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დარგში, გამოხატავს კომენიზმის გაძარჯვების. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გამარჯვების მტკიცე რწმენას.

ხარობ მათს ფარაზმულობას. ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელობის მიმართ ამ კრიტიკას ყრილობაზე მხარი დაუჭირეს მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების წარმომადგენლებმა, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა: „კომუნისტების მოვალეობაა კი არ მიჩქმალონ თავიანთი მოძრაობის სუსტი მხარეები, არამედ აშკარად გაარკვიონ ისინი, რათა რაც შეიძლება ჩქარა და რადიკალურად განთავისუფლდნენ მათგან.“ სკკპ ცენტრალური კომიტეტი ლენინურად მოიქცა, ყრილობაზე მთელი სიმართლე რომ თქვა ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელობის მანკიერი პოზიციის შესახებ. ჩვენი პარტია კვლავაც შეურიგებლად იბრძოლებს რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმისაგან ყოველი გადახვევის წინააღმდეგ, მისი რევოლუციური სიწმინდისათვის.

XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი. მთელ თავის პოლიტიკაში, რევოლუციური ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების დროს ჩვენი პარტია ემყარება იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადიის, არსის ლენინურ განსაზღვრას, იმპერიალიზმისა, რომელთანაც განუყოფელად დაკავშირებულია ომები, მსოფლიოს დაყოფისა და გადანაწილებისათვის, ხალხთა დამონებისათვის ბრძოლა.

ახლა მსოფლიოს მდგომარეობა განისაზღვრება სოციალიზმის მსოფლიო სისტემის სწრაფი განვითარებით, სისტემისა, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით იმპერიალიზმის ქვეყნებზე უფრო ძლიერია, გაუსწრო მათ მეცნიერებისა და ტექნიკის მთელ რიგ დარგებში, სწრაფად ვითარდება და უახლოეს მომავალში გაუსწრებს კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემას მატერიალური დოვლათის წარმოების სფეროში. ამ პირობებში იმპერიალიზმს აღარ შეუძლია უველას უკარნახოს თავისი ნება, დაებრკოლებლად განახორციელოს აგრესიული პოლიტიკა და დაუსჯელად გაიჩაღოს სამხედრო ავანტიურები. იმპერიალიზმის დამპყრობლურ მისწრაფებებს აბრკოლებენ სიბჭოთა კავშირის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის მძლავრი ძალები. მშვიდობისათვის იბრძვიან მრავალი მშვიდობისმოყვარე ქვეყანა, უველა ხალხი.

სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს თანამედროვე პირობებში საარსებო მნიშვნელობა ენიჭება, და ჩვენი პარტია, სიბჭოთა მთავრობა მტკიცედ დაიურდნობიან მას თავიანთ საგარეო პოლიტიკაში. ჩვენს პარტიას ახსოვს იმპერიალიზმის ბერაგობა, მისი მიდრეკილება ავანტიურებისადმი და კვლავაც განამტკიცებს სიბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ და თავდაცვითს ძლიერებას, ფხიზლად დაიცავს მტრების ბრიკებისაგან კომუნიზმის მშენებელთა დიდ მონაპოვრებსა და მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

ჩვენი ქვეყნის, მსოფლიო სოციალიზმის მთელი სისტემის ძალები ჯერ არასოდეს არ ყოფილან ასე მძლავრი, როგორც ახლა. XXII ყრილობამ პარტიას, მთელ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო-ისტორიული ამოცანები დაუსახა. ეს ამოცანები წარმატებით გადაიკრება, კომუნიზმი აშენდება მთელი ხალხის შრომით, მხოლოდ შრომით, თავდადებული და შემოქმედებითი შრომით.

პარტიულმა, სიბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა განმარტონ ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, პარტიის ახალი პროგრამა, დარაზმონ სიბჭოთა ადამიანების მთელი ძალები მათი განხორციელებისათვის. უკვე ახლა, ერთი წლის დაუკარგავად, საჭიროა ხალხის მთელი მჩქეფავრე ენერგია წარვმართოთ პარტიის პროგრამის — კომუნიზმის მშენებლობის დიდი პროგრამის შესასრულებლად. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებმა, ჩვენმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ.

„საძმე ახლა სწორედ იმას ეხება, რომ ყოველი მხრიდან შევეშველოთ ამ შენობის პრაქტიკულ ამოყვანასა, რომლის გეგმა ჩვენ უკვე დიდი ხანია მოგვასახეთ, რომელი ნიადაგს ჩვენ საკმაო ენერგიულობით ვიპყრობდით და საკმაო სიმტკიცით დავიპყარით, რომლის მასალა ჩვენ საკმაო რაოდენობით მოვაგროვეთ და რომელსაც ახლა უნდა შემოვარტყათ დამხმარე ხარაჩოები, ჩავიცვათ საფუძვლო ბანისამოსი, არ უნდა შევეშვინდეთ მის გასვრას ყოველგვარი დაბინძარე მასალით. სასტიკად შევასრულოთ პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელ პირთა ბრძანებანი, — და ეს შენობა უნდა ვაშენოთ, ვაშენოთ და ვაშენოთ.“ ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები საუკეთესოდ შეესაბამებიან ჩვენი ცხოვრების ახლანდელ დღეებს, ჩვენს სურვილებსა და მისწრაფებებს, გამოხატავენ საქმის ინტერესებს — ვაშენოთ, ვაშენოთ და ვაშენოთ!

ჩვენი მიზნები ნათელია, ამოცანები — გარკვეული. შეუფუფგეთ მუშაობას ამხანაგებო! კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის! ჩვენ ყველაფერი მოგვეპოვება კომუნიზმის მშენებლობისათვის, და სრულ გამარჯვებამდე მივიყვანთ ამ დიადი საქმეს. სიბჭოთა მიწა-წყალზე გაიმარჯვებს კომუნიზმი, ასეთია პარტიის ნება, ხალხთა ნება. სიბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს.

სიხალოვანი ლენინური პარტიის წინამძღოლობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

1961 წლის 4 ნოემბერს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

სხდომამ მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ვ. ნ. ნოვიკოვის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ვ. ე. დიმიტცის მოხსენებანი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ და სსრ კავშირის ფინანსთა ministrის ამხ. ვ. ფ. გარბუზოვის მოხსენება სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

აღნიშნული საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებმა, სსრ კავშირის მინისტრებმა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა.

იმ წინადადებათა და შენიშვნათა შესაბამისად, რომლებიც სხდომაზე გაკეთდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, მთავრობის წევრებმა და სხდომის სხვა მონაწილეებმა, პროექტებში შეტანილია ცალკეული დაზუსტებანი და დამატებანი. გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებში ასახულია. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, რომლებიც დასახა სკკპ XXII ყრილობამ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

ამავე დროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა დაჩქარდეს საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება უმნიშვნელოვანეს ასამუშავებელ ობიექტებზე კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის გადიდების, მატერიალური და ფინანსური რესურსების კონცენტრაციისა და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირების საფუძველზე, რათა აღმოიფხვრას მანკიერი პრაქტიკა ფულადი სახსრების მრავალ მშენებლობაზე დაქსაქსვისა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები შეტანილ იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა ი. კადარს

4 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო მეთაური უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დელეგაციისა, რომელიც სკკპ XXII ყრილობას ესწრებოდა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ამხანაგი იანოშ კადარი. ნ. ს. ხრუშჩოვსა და ი. კადარს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

ი. კადარმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად — მოდელი 1919 წლის უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის ძეგლისა, რომელიც აიგება ბუდაპეშტში უნგრელი მოკამდაკის იშტვან კიშის პროექტით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საჩუქრისათვის.

საუბარს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ი. ვ. ანდროპოვი,

მთელი ძალღონე, ენერგია კომუნიზმის მშენებლობისათვის

საზეიმო სხდომა თბილისში, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავისადმი

4 ნოემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, რომელიც საღღესასწაულოდ იყო მორთული, შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. აქ გაიმართა თბილისის შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავს. თეატრში იყვნენ ფაბრიკა-ქარხნების, მშენებლობების ტუშები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

ლამაზად გაფორმებული სცენის სიღრმეში, სადაც დგას სპატიო სამხედრო ყარაული, არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდი პორტრეტი. ოქროსფერად ბრწყინავს ციფრები „1917-1961“. ალისფერ ქსოვილზეა სიტყვები: მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. პ. მეკავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოკანოვი, გ. ა. გეგეშიძე, დ. გ. სტურუა, ვ. მ. სირაძე, მ. ი. აკუბაევ, ა. ტ. სტეჩენკო, ა. ნ. ინაური, ბ. მ. ლელაშვილი, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ბანფაყაძე, ო. ვ. ჩერქეზია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, წარმომადგენლოვანი, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

სხეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ი. ფარეიმ.

— სიბჭოთა ხალხი მთელ პროგრესულ კაცობრობასთან ერთად, — ამბობს იგი, ორმოცდამეოთხეჯერ ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის წლისთავს, რომელმაც კაცობრობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — კაპიტალიზმის ნგრევისა და კომუნიზმის დამკვიდრების ერა. სიბჭოთა ხალხი ორმოცდაოთხი წელია უკვიდავი ლენინის ძლევამოსილი დროშით ცხოვრობს, იბრძვის და აშენებს.

სიხარულის აღფრთოვანება, შემოქმედებითი ძალების უმაგალითო მოზღვავება გამოიწვია მთელ ჩვენს ქვეყანაში სკკპ XXII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. ყრილობამ შეაჯამა ჩვენი ქვეყნის გმირული გამარჯვებათა შედეგები, დაუსახა სიბჭოთა ხალხს სანუკვარი მიზნისაკენ—კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლის ნათელი წარმტაცი პერსპექტივები.

კომუნიზმის მშენებლობის დიდებულ პროგრამას, — განაგრძობს ამხ. ფარეიმე, — რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო, სიბჭოთა ადამიანები შეხვდნენ როგორც მშობლიურ, ღვიძლ საქმეს, როგორც თავიანთი ცხოვრების უდიდეს მიზანს. იგი ხალხს აღაფრთოვანებს ახალი და ახალი გმირობისათვის დედამიწაზე ბედნიერებისა და მშვიდობის მისაღწევად.

კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული და ნაკადი ხელმძღვანელობით, რომელსაც ამხანაგი ნიკიტა სერგეი-ძე ხრუშჩოვი მეთაურობს, პარტიის ახალი პროგრამა წარმატებით შესრულდება.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა აკადემიკოსმა ი. სარიჭველმა სტუდენტთა, პროფესორთა, მასწავლებელთა მრავალათასიანი კოლექტივის სახელით გულთბილად მიუღოცა შეკრებილთა დიდი ოქტომბრის დღესასწაული. მან თქვა, რომ ინსტიტუტი, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე ჩვენს ქვეყანას მისცა 18.500-ზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, უველაფერს გააკეთებს, რათა სოფლის მეურნეობამ კიდევ უფრო მეტი სპეციალისტი მიიღოს. სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ჩვენი პარტიის საქვეყნო განცხადება, რომ ჩვენი თაობა კომუნიზმის დროს იცხოვრებს, აღგაფრთოვანებს ახალი სახელოვანი საქმეებისათვის სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სიტყვა ეძლეკა ძველ ბოლშევიკს პროფესორ პ. ბუაჩიძეს. ჩვენ, თქვენთან ერთად, ამბობს იგი, ბედნიერ და სასიხარულო დროში ვცხოვრობთ. ლენინურმა პარტიამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ სიბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა კომუნიზმის დროს იცხოვრებს.

დედამიწაზე არ მოიპოვება კუთხე, სადაც ადამიანები ატანაცებული არ იყოს კომუნისტების შემოქმედებითი გენიითა და ალმშენებლობითი ენერგიით. დიდი ოქტომბრის ნათელ იდეათა ძლევამოსილმა წინსვლამ შეაღლებინა ჩვენს პარტიას დაესახა პრაქტიკული ამოცანა — კომუნისტური საზოგადოების აშენება. ახლა უკვე არა განყენებულ ფორმულებში, არამედ პარტიის მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამაში, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო, ვხედავთ ჩვენ კომუნიზმის მახლობელ და საბოლოო გამარჯვებას.

ტრიბუნაზეა № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ლ. დავითაძე. იგი ლაპარაკობს მღელვარე დღეებზე, როცა მიმდინარეობდა პარტიის XXII ყრილობა, რომლის დელეგატადაც თვითონ იყო. პარტიის ყრილობამ, აღნიშნა მან, ცხადყო ხალხის მჭიდრო შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო. ყრილობის უველა გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთსულოვნად. მე არ დამავიწყდება ნიკიტა სერგეი-ძე ხრუშჩოვის სიტყვები, რომელმაც მოგვიწოდა დაუღალავად ვიმუშაოთ სამშობლოს სასახელოდ. მან ილაპარაკა იმაზეც, რომ ჩვენი ქვეყნის მსუბუქმა მრეწველობამ ხალხს უნდა მისცეს არა მარტო კარგი, არამედ აგრეთვე ლამაზი, საუკეთესო ხარისხის საქონელი. ახლა ჩვენ ისე მოგვყავს საქმე, რომ მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია გამოვუშვათ.

ჯარისკაცთა, სერჟანტთა, ოფიცერთა და გენერალთა სახელით თბილისის მშრომელებს მხურვალედ მიესალმა და დიდი ოქტომბრის ნათელი დღესასწაული მიუღოცა ორგზის სიბჭოთა კავშირის გმირმა პ. გოლოვაჩევმა. სიბჭოთა ადამიანებმა, თქვა მან, ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, შეუდგნენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების გრანდიოზული გეგმის განხორციელებას. პარტიის ახალი პროგრამა გვიჩვენებს კომუნიზმის დიდებული შენობის ოგბის ნათელ გზებს, მზესავით გვანათებს ხვალინდელ დღეს, აღგაფრთოვანებს თავდადებული შრომისათვის. საქართველოს მშრომელები ყოველთვის იყვნენ ლენინურ წინასწარმეტყველთა ერთგულ ოლქის მეომრებს ასახრებთ მათი წარმატებანი. ისინი ფხიზლად იცავენ სსრ კავშირის სამხრეთ საზღვრებს.

მკაფიო სიტყვა წარმოთქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა თ. ჩიჯავაძემ. ჩვენ, ახალგაზრდობა, ამბობს იგი, ვუცქერდით ჩვენს საყვარელ ლენინურ კომუნისტურ პარტიას, რომ წავალთ სამუშაოდ იქ, სადაც საჭიროა ჩვენი ახალგაზრდა ხელი.

ტრიბუნაზეა მწერალი კ. ლორთქიფანიძე. ისტორიულ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი პარტიის XXII ყრილობის შთაბეჭდილებებით ცხოვრობს, ეხედვებით ჩვენ დიდი ოქტომბრის წლისთავს. სკკპ XXII ყრილობამ, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებმა ყრილობაზე გაამდიდრა ჩვენი სულიერი საბყარო ახალი შინაარსით, დიდი გასაქანი მისცა ჩვენს გონებას. ჩვენი თაობა ნამდვილად ბედნიერია, რადგან იგი ცხოვრობს საზოგადოებაში, სადაც ზოციალდება კაცთმოყვარეობის უმაღლესი იდეალი — ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი მისი კეთილდღეობისათვის. ქართველი მწერალები, მთელი ქართველი ხალხი თავისი დაუცხრომელი შრომით, თავისი მართალი გულით ყოველთვის იქნება ამ დროშის ქვეშ, რომელიც 44 წლის წინათ დალოცა დიდმა ლენინმა.

სხეიმო სხდომის მონაწილენი მხურვალე ტაშით ხვდებიან სიტყვებს, რომლებიც გასცა დიდი ოქტომბრის 44-ე წლისთავის, გმირი სიბჭოთა ხალხის, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს.

გაისმის სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის საზეიმო მელოდიები.

• • •

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქლისი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ბლას როკა და კარლოს როდრიგესი

4 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო კუბის გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების ეროვნული ხელმძღვანელობის წევრები ამხანაგები ბლას როკა და კარლოს რაფაელ როდრიგესი, რომლებიც ესწრებოდნენ სკკპ XXII ყრილობას.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებს.

საუბარში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ბ. ნ. პონომარიოვმა.

ბლას როკამ და კარლოს როდრიგესმ ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცეს კუბის რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი გმირის კამილო სიენფუეგოსის პორტრეტი. ნ. ს. ხრუშჩოვმა გულთბილი მადლობა გადაიხადა საჩუქრისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ესაუბრა ალ. ბეგეგოვს

4 ნოემბერს ნ. ს. ხრუშჩოვმა ესაუბრა ალ. ბეგეგოვს, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს. ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელობის მიმართ ამ კრიტიკას ყრილობაზე მხარი დაუჭირეს მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების წარმომადგენლებმა, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა: „კომუნისტების მოვალეობაა კი არ მიჩქმალონ თავიანთი მოძრაობის სუსტი მხარეები, არამედ აშკარად გაარკვიონ ისინი, რათა რაც შეიძლება ჩქარა და რადიკალურად განთავისუფლდნენ მათგან.“ სკკპ ცენტრალური კომიტეტი ლენინურად მოიქცა, ყრილობაზე მთელი სიმართლე რომ თქვა ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელობის მანკიერი პოზიციის შესახებ. ჩვენი პარტია კვლავაც შეურიგებლად იბრძოლებს რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმისაგან ყოველი გადახვევის წინააღმდეგ, მისი რევოლუციური სიწმინდისათვის.

XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი. მთელ თავის პოლიტიკაში, რევოლუციური ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების დროს ჩვენი პარტია ემყარება იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადიის, არსის ლენინურ განსაზღვრას, იმპერიალიზმისა, რომელთანაც განუყოფელად დაკავშირებულია ომები, მსოფლიოს დაყოფისა და გადანაწილებისათვის, ხალხთა დამონებისათვის ბრძოლა.

ახლა მსოფლიოს მდგომარეობა განისაზღვრება სოციალი

წესდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა

III. პარტიის ორგანიზაციული წყობა. შინაპარტიული დემოკრატია

(გაგრძელება)

19. პარტიის ორგანიზაციული წყობის სახელმძღვანელო პრინციპია დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელიც ნიშნავს:

ა) პარტიის ყველა ხელმძღვანელი ორგანოს არჩევითობას თავიდან ბოლომდე;

ბ) პარტიული ორგანოების პერიოდულ ანგარიშგებას თავიანთი პარტიული ორგანიზაციებისა და ზემდგომი ორგანოების წინაშე;

გ) მტკიცე პარტიულ დისციპლინას და უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილებას;

დ) ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა უცილობელ სავალდებულობას ქვემდგომი ორგანოებისათვის.

20. პარტია შენდება ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნის მიხედვით: პირველადი ორგანიზაციები იქმნებიან კომუნისტთა მუშაობის ადგილის მიხედვით და ერთიანდებიან რაიონულ, საქალაქო და სხვ. ორგანიზაციებად ტერიტორიის მიხედვით. ორგანიზაცია, რომელიც მომსახურებას უწევს მოცემულ ტერიტორიას, უმაღლესია ყველა პარტიული ორგანიზაციის მიმართ, რომლებიც მომსახურებას უწევენ ამ ტერიტორიის ნაწილს.

21. ყველა პარტიული ორგანიზაცია ავტონომიურია ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში, თუ ეს გადაწყვეტილებანი არ ეწინააღმდეგებიან პარტიის პოლიტიკას.

22. პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა: საერთო კრება (პირველადი ორგანიზაციებისათვის), კონფერენცია (რაიონული, საქალაქო, საოკრუგო, საოლქო, სამხარეო ორგანიზაციებისათვის), ყრილობა (მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის).

23. საერთო კრება, კონფერენცია ან ყრილობა ირჩევს ბიუროს ან კომიტეტს, რომლებიც აღმასრულებელი ორგანოები არიან და ხელმძღვანელობენ პარტიული ორგანიზაციის მთელ მიმდინარე მუშაობას.

24. პარტიული ორგანოების არჩევნები ხდება დახურული (ფარული) კენჭისყრით. პარტიის ყველა წევრს არჩევნების დროს აქვს შეუზღუდავი უფლება—აცილება მისცეს კანდიდატებს და გააკრიტიკოს ეს უკანასკნელნი. კენჭისყრა უნდა წარმოებდეს ცალკე თვითეული კანდიდატურის მიხედვით. არჩეულად ითვლებიან კანდიდატები, რომლებსაც ხმა მისცა კრების, კონფერენციის ან ყრილობის მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

25. პარტიული ორგანოების არჩევნების დროს დაცულ უნდა იქნას მათი შემადგენლობის სისტემატური განახლებისა და ხელმძღვანელობის მონაცვლეობის პრინციპი.

ყოველ მორიგ არჩევნებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობა განახლდება სულ ცოტა ერთი მეოთხედით. პრეზიდიუმის წევრებს ირჩევენ, როგორც წესი, სულ დიდ სამი მოწვევის ვადით ზედიზედ. პარტიის ესა თუ ის მოღვაწენი, მათი აღიარებული ავტორიტეტის, მაღალი პოლიტიკური, ორგანიზატორული და სხვა თვისებების გამო, შეიძლება არჩეულ იქნან ხელმძღვანელ ორგანოებში ზედიზედ უფრო ხანგრძლივი ვადით. ამ შემთხვევაში შესაბამისი კანდიდატი არჩეულად ითვლება იმ პირობით, თუ მან დახურული (ფარული) კენჭისყრის დროს მიიღო ხმების სულ ცოტა სამი მეოთხედი.

მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების შემადგენლობა განახლდება სულ ცოტა ერთი მესამედით ყოველ მორიგ არჩევნებში; პარტიის საოკრუგო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიონული კომიტეტების პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტკომების ან ბიუროების შემადგენლობა — საანახევროდ, ამასთან ამ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების წევრები შეიძლება არჩეულ იქნან ზედიზედ სულ დიდი სამი ვადით. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები შეიძლება არჩეულ იქნან ზედიზედ სულ დიდი ორი მოწვევის ვადით.

კრებას, კონფერენციას, ყრილობას შეუძლიათ, პოლიტიკური და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით, ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში აირჩიონ ესა თუ ის მუშაკი უფრო ხანგრძლივი ვადითაც. ასეთ შემთხვევაში არჩევისათვის საჭიროა კენჭისყრის მონაწილე კომუნისტთა ხმების სულ ცოტა სამი მეოთხედი.

პარტიის წევრები, რომლებიც გამოაკლდნენ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს შემადგენლობას მათი იქ ყოფნის ვადის გასვლის გამო, შეიძლება კვლავ არჩეულ იქნან შემდგომი არჩევნების დროს.

26. სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი მთელი თავისი საქმიანობით უნდა ამართლებდეს მაღალ ნდობას, რომელიც მას პარტიამ აღმოუჩინა. თუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა ან წევრობის კანდიდატმა შეგნებულად თავისი სახელი და ღირსება, იგი არ შეიძლება დარჩეს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. ცენტრალური კომიტეტის წევრის, წევრობის კანდიდატის სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოყვანის საკითხი წყდება ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დახურული (ფარული) კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრის სულ ცოტა ორმა მესამედმა.

პარტიული ორგანოს შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტის წევრის, წევრობის კანდიდატის გამოყვანის საკითხს წყვეტს შესაბამისი კომიტეტის პლენუმი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ დახურული (ფარული) კენჭისყრის შედეგად მას ხმა მისცემს ამ კომიტეტის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.

თუ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი ვერ ამართლებს მაღალ ნდობას, რომელიც მას პარტიამ აღმოუჩინა, იგი გამოყვანილ უნდა იქნას კომისიის შემადგენლობიდან. ეს საკითხი წყდება ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომაზე. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ამა თუ იმ წევრის გამოყვანას კომისიის შემადგენლობიდან დახურული (ფარული) კენჭისყრის შედეგად ხმა მისცა ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრთა სულ ცოტა ორმა მესამედმა.

საკითხი რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიების წევრთა გამოყვანის შესახებ ამ კომისიების შემადგენლობიდან წყდება შესაბამისი კომისიების სხდომებზე იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია პარტიული კომიტეტების წევრთა და წევრობის კანდიდატთათვის.

27. პარტიული პოლიტიკის საკითხების თავისუფალი და საქმიანი განხილვა, ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში ან მთლიანად პარტიაში პარტიის წევრის განუყოფელი უფლება და შინაპარტიული დემოკრატიის დიდმნიშვნელოვანი პრინციპია. მხოლოდ შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე შეიძლება გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა და განმტკიცდეს პარტიული დისციპლინა, რომელიც შეგნებული უნდა იყოს და არა მექანიკური.

ცალკეული ორგანიზაციების ან მთლიანად პარტიის ფარგლებში შესაძლებელია დისკუსიები სადავო ან არასაკმაოდ ნათელ საკითხებზე.

საერთოპარტიული დისკუსია საჭიროა:

ა) თუ ამ საჭიროებას ცნობს საოლქო, რესპუბლიკური მასშტაბის რამდენიმე პარტიული ორგანიზაცია;

ბ) თუ ცენტრალური კომიტეტის შიგნით არ არის საკმაოდ მტკიცე უმრავლესობა პარტიული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში;

გ) თუ სკკპ ცენტრალური კომიტეტი საჭიროდ ცნობს მოეთათბიროს მთელ პარტიას პოლიტიკის ამა თუ იმ საკითხზე.

ფართო დისკუსია, განსაკუთრებით კი სრულიად საკავშირო მასშტაბის დისკუსია პარტიული პოლიტიკის საკითხებზე, უნდა წარმოებდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს პარტიის წევრების შეხედულებათა თავისუფალი გამოვლინება და გამორიცხული იყოს შესაძლებლობა ცდებისა — წარმოქმნან ფრაქციული დაჯგუფებანი, რომლებიც არღვევენ პარტიის ერთიანობას, გამორიცხული იყოს პარტიის გათიშვის ცდების შესაძლებლობა.

28. პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია ხელმძღვანელობის კოლექტიურობა — პარტიული ორგანიზაციების ნორმალური საქმიანობის, კადრების სწორი აღზრდის, კომუნისტთა აქტივობისა და თვითმოქმედების განვითარების უცილობელი პირობა. პიროვნების კულტი და მასთან დაკავშირებული დარღვევები შინაპარტიული დემოკრატიისა შეუწყნარებელია პარტიაში, შეუთავსებელია პარტიული ცხოვრების ლენინურ პრინციპებთან.

ხელმძღვანელობის კოლექტიურობა როდი ხსნის მუშაკებს პერსონალურ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის.

29. მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები ყრილობებსა და კონფერენციებს შორის პერიოდში სისტემატურად აწვდიან პარტიულ ორგანიზაციებს ინფორმაციას თავიანთი მუშაობის შესახებ.

30. პარტიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა განსახილველად და მათი განხორციელების პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად, აგრეთვე ადგილობრივი ცხოვრების საკითხების განსახილველად იმართება რაიონული საქალაქო, საოკრუგო, საოლქო, სამხარეო პარტიული ორგანიზაციებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების აქტივის კრებები.

IV. პარტიის უმაღლესი ორგანოები

31. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი ორგანოა პარტიის ყრილობა. მორიგ ყრილობებს ცენტრალური კომიტეტი იწვევს ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც. პარტიული ყრილობის მოწვევა და დღის წესრიგი ცხადდება არაუგვიანეს თვენახევრისა ყრილობამდე. რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობებს იწვევს პარტიის ცენტრალური კომიტეტი საკუთარი ინიციატივით ან უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე წარმოდგენილ პარტიის წევრთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით. რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობები მოიწვევა ორი თვის ვადაში. ყრილობა კანონიერად ითვლება, თუ მასზე წარმოდგენილია პარტიის ყველა წევრთა სულ ცოტა ნახევარი.

პარტიის ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს ცენტრალური კომიტეტი.

32. იმ შემთხვევაში, თუ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 31-ე პუნქტში ნაჩვენებ ვადაში არ მოიწვია რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობა, იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობის მოწვევა მოითხოვეს, უფლება აქვთ შექმნან საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც სარგებლობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის უფლებებით რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობის მოსაწვევად.

33. ყრილობა:

ა) ისმენს და ამტკიცებს ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური სარევიზიო კომისიისა და სხვა ცენტრალური ორგანიზაციების ანგარიშებს;

ბ) გადასინჯავს, ცვლის და ამტკიცებს პარტიის პროგრამასა და წესდებას;

გ) განსაზღვრავს პარტიის ხაზს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში, განიხილავს და წყვეტს კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს;

დ) ირჩევს ცენტრალურ კომიტეტსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას.

34. ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური სარევიზიო კომისია აირჩევა ყრილობის მიერ დაწესებული შემადგენლობით. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალურ კომიტეტს წევრები გამოაკლდებიან, მისი შემადგენლობა შეივსება ყრილობის მიერ არჩეულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთა რიცხვიდან.

35. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყრილობიდან ყრილობამდე ხელმძღვანელობს პარტიის, ადგილობრივი პარტიული ორგანოების მთელ საქმიანობას, ახორციელებს ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებას, წარმართავს ცენტრალური სახელმწიფოებრივი და მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას ამ საზოგადოებათა პარტიული ჯგუფების მეშვეობით, ქმნის პარტიის სხვადასხვა ორგანოებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს და ხელმძღვანელობს მათს საქმიანობას, ნიშნავს მისი კონტროლით მომუშავე ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, ანაწილებს პარტიული ბიუჯეტის სახსრებს და კონტროლს უწევს მის შესრულებას.

ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელია სხვა პარტიებთან ურთიერთობაში.

36. სკკპ ცენტრალური კომიტეტი რეგულარულად აწვდის პარტიულ ორგანიზაციებს ინფორმაციას თავისი მუშაობის შესახებ.

37. სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისია რევიზიას უწევს პარტიის ცენტრალურ ორგანოებში საქმეების მსვლელობის სისწორეს და სისწორეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სალაროსა და საწარმოებს.

38. სკკპ ცენტრალური კომიტეტი ექვს თვეში ერთხელ მაინც მართავს პლენარულ სხდომას. ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები ცენტრალური კომიტეტის პლენუმების სხდომებს ესწრებიან სათათბირო ხმის უფლებით.

39. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ირჩევს: პლენუმიდან პლენუმამდე ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ხელმძღვანელობისათვის — პრეზიდიუმს; მიმდინარე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის, უმთავრესად კადრების შერჩევისა და შესრულების შემოწმების ორგანიზაციის დარგში — სამდივნოს; ქმნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს.

40. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ცენტრალურ კომიტეტთან ქმნის პარტიული კონტროლის კომიტეტს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტი:

ა) ამოწმებს სკკპ წევრებისა და წევრობის კანდიდატების მიერ პარტიული დისციპლინის დაცვას, პასუხისგებაში აძლევს იმ კომუნისტებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით პარტიის პროგრამისა და წესდების, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევაში, აგრეთვე პარტიული მორალის დამრღვევთ;

ბ) განიხილავს აპელაციებს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების გადაწყვეტილებათა გამო პარტიიდან გარიცხვისა და პარტიული სასჯელის შესახებ.

V. პარტიის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები

41. რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული პარტიული ორგანიზაციები და მათი კომიტეტები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სკკპ პროგრამითა და წესდებით, ეწევიან რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ოკრუგის, ქალაქისა და რაიონის ფარგლებში მთელ მუშაობას პარტიის პოლიტიკის განსახორციელებლად, აწყობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დირექტივების შესრულებას.

42. პარტიის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული ორგანიზაციების, მათი ხელმძღვანელი ორგანოების ძირითადი მოვალეობაა:

ა) პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მასებში, მათი მობილიზაცია კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის, სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის; ზრუნვა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის;

ბ) იდეოლოგიური მუშაობის ორგანიზაცია. მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა, მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობის ამაღლება, ადგილობრივი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ხელმძღვანელობა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის კონტროლი;

გ) საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, კოოპერაციისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა მათი პარტიული ჯგუფების მეშვეობით, მშრომელთა სულ უფრო ფართოდ ჩაბმა ამ ორგანიზაციების მუშაობაში, მასების თვითმოქმედებისა და აქტივობის განვითარება, როგორც სოციალისტური სახელმწიფოებრიობიდან კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობაზე თანდათანობით გადასვლის აუცილებელი პირობა.

პარტიული ორგანიზაციები არ ეწევიან საბჭოთა, პროფკავშირული, კოოპერაციული და მშრომელთა სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაგიერობას, აღკვეთენ პარტიული და სხვა ორგანოების ფუნქციების აღრევას, არასაჭირო პარალელიზმს მუშაობაში;

დ) ხელმძღვანელი კადრების შერჩევა და განაწილება, მათი აღზრდა კომუნისტური იდეურობის, პატიოსნებისა და სიმართლის სულისკვეთებით, მინდობილი საქმისათვის პარტიისა და ხალხის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით;

ე) კომუნისტების ფართოდ ჩაბმა პარტიული მუშაობის განხორციელებაში, როგორც შტატგარეშე მუშაკებისა, საზოგადო მოღვაწეობის წესით;

ვ) პარტიის სხვადასხვა დაწესებულებებისა და საწარმოების ორგანიზაცია თავისი რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ოკრუგის, ქალაქის, რაიონის ფარგლებში, მათი საქმიანობის ხელმძღვანელობა; პარტიის სახსრების განაწილება თავის ორგანიზაციაში; ზემდგომი პარტიული ორგანოს სისტემატური ინფორმაცია და მის წინაშე ანგარიშგება თავისი მუშაობის შესახებ.

პარტიის რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოები

43. საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საოლქო, სამხარეო პარტიული კონფერენცია ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობა, ხოლო მათი მოწვევიდან მოწვევამდე — საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

44. მორიგ საოლქო, სამხარეო კონფერენციას ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის მორიგ ყრილობას იწვევს საოლქო, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო რიგგარეშე (საგანგებო) კონფერენციის ან ყრილობის მოწვევა ხდება საოლქო, სამხარეო კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ან იმ ორგანიზაციების წევრთა საერთო რიცხვის ერთი მესამედის მოთხოვნით, რომლებიც საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციაში შედიან. იმ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობები, რომლებსაც საოლქო დაყოფა აქვთ (უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი, უზბეკეთი), შეიძლება მოეწყოს ოთხ წელიწადში ერთხელ.

საოლქო, სამხარეო კონფერენციაზე, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს შესაბამისი პარტიული კომიტეტი.

საოლქო, სამხარეო კონფერენცია, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობა ისმენს საოლქო, სამხარეო კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სარევიზიო კომისიის ანგარიშებს, თავისი შეხედულებისამებრ განიხილავს პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებს, ირჩევს საოლქო, სამხარეო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სარევიზიო კომისიას და სკკპ ყრილობის დელეგატებს.

45. საოლქო, სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები ირჩევენ ბიუროებს, მათ შორის კომიტეტის მდივნებს. მდივნებისათვის სავალდებულოა სულ ცოტა ხუთი წლის პარტიული სტაჟი. კომიტეტების პლენუმები ამტკიცებენ აგრეთვე პარტიული კომისიების თავმჯდომარეებს, ამ კომიტეტების განყოფილებათა გამგეებს პარტიული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორებს.

მიმდინარე საკითხების განსახილველად და შესრულების შესამოწმებლად პარტიის საოლქო კომიტეტებში, სამხარეო კომიტეტებში და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებში შეიძლება შეიქმნას სამდივნოები.

46. საოლქო, სამხარეო კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი იმართება ოთხ თვეში ერთხელ მაინც.

47. საოლქო, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს ხელმძღვანელობას საოლქო, საქალაქო, რაიონული პარტიული ორგანიზაციებისადმი, ამოწმებს მათს საქმიანობას და სისტემატურად ისმენს პარტიის საოკრუგო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ანგარიშებს.

ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე მხარეებისა და მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური და სხვა ოლქების პარტიული ორგანიზაციები მუშაობენ სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ხელმძღვანელობით.

პარტიის საოკრუგო, საქალაქო და რაიონული (სასოფლო და საქალაქო) ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოები

48. საოკრუგო, საქალაქო, რაიონული პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საოკრუგო, საქალაქო, რაიონული პარტიული კონფერენცია ან კომუნისტების საერთო კრება, რომლებსაც იწვევს საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტი ორ წელიწადში ერთხელ მაინც, ხოლო რიგგარეშე კონფერენციების მოწვევა ხდება კომიტეტის გადაწყვეტილებით ან პარტიის იმ წევრთა საერთო რიცხვის ერთი მესამედის მოთხოვნით, რომლებიც შესაბამის პარტიულ ორგანიზაციაში შედიან.

საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კონფერენცია (კრება) ისმენს კომიტეტის, სარევიზიო კომისიის ანგარიშებს, განიხილავს თავისი შეხედულებისამებრ პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებს, ირჩევს საოკრუგო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტს, სარევიზიო კომისიასა და საოლქო, სამხარეო კონფერენციის ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობის დელეგატებს.

საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს შესაბამისი პარტიული კომიტეტი.

49. საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტი ირჩევს ბიუროს, მათ შორის კომიტეტის მდივნებს, აგრეთვე ამტკიცებს კომიტეტის განყოფილებათა გამგეებს, გაზეთების რედაქტორებს. საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტის მდივნებისათვის სავალდებულოა სულ ცოტა სამი წლის პარტიული სტაჟი. კომიტეტების მდივნებს ამტკიცებს საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

50. საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტი ქმნის და ამტკიცებს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, ხელმძღვანელობს მათს საქმიანობას, სისტემატურად ისმენს ანგარიშებს პარტორგანიზაციების მუშაობის შესახებ, აწარმოებს კომუნისტების აღრიცხვას.

51. საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტის პლენუმი იმართება სამ თვეში ერთხელ მაინც.

52. საოკრუგო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტს ჰყავს შტატგარეშე ინსტრუქტორები, ქმნის მუდმივ ან დროებით კომისიებს პარტიული მუშაობის სხვადასხვა საკითხზე და იყენებს პარტიული კომიტეტის საქმიანობაში კომუნისტების საზოგადოებრივ საწყისებზე მიზიდვის სხვა ფორმებს.

VI. პარტიის პირველადი ორგანიზაციები

53. პარტიის საფუძველია პირველადი ორგანიზაციები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები იქმნება პარტიის წევრთა მუშაობის ადგილის მიხედვით — ქარხნებში, ფაბრიკებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა არმიის ნაწილებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში და სხვ. თუ იქ პარტიის სამი წევრი მაინც არის. შეიძლება შეიქმნას აგრეთვე ტერიტორიული პირველადი პარტორგანიზაციები კომუნისტთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სოფლებში და სახლმმართველობებთან.

54. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, სადაც პარტიის 50-ზე მეტი წევრი და კანდიდატია, საერთო პირველადი პარტიული ორგანიზაციის შიგნით რაიკომის, საქალაქო კომიტეტის, საოკრუგო კომიტეტის ნებართვით შეიძლება შეიქმნას პარტიული ორგანიზაციები საამქროებში, უბნებში, ფერმებში, ბრიგადებში, განყოფილებებში და სხვ.

საამქრო, საუბნო და სხვა ორგანიზაციების შიგნით, აგრეთვე იმ პირველადი პარტორგანიზაციების შიგნით,

(დასასრული მე-3 გვერდზე)

დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 264.

წესდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

რომლებშიც 50-ზე ნაკლები წევრი და კანდიდატია, შეიძლება შეიქმნას პარტიული ჯგუფები ბრიგადებსა და სხვა საწარმოო რგოლებში.

55. პირველადი პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა პარტიული კრება, რომელიც იმართება თვეში ერთხელ მაინც.

დიდ პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც 300-ზე მეტი კომუნისტია, საერთო პარტიული კრება იმართება საჭიროების მიხედვით პარტკომის მიერ დაწესებულ ვადებში, ან რამდენიმე საამქრო პარტორგანიზაციის მოთხოვნით.

56. მიმდინარე მუშაობის საწარმოებლად პირველადი, საამქრო პარტიული ორგანიზაცია ერთი წლით ირჩევს ბიუროს იმ რაოდენობით, რომელსაც პარტიული კრება აწესებს. პირველადს და საამქრო პარტორგანიზაციებში, სადაც პარტიის 15-ზე ნაკლები წევრია, ირჩევენ არა ბიუროს, არამედ პარტიული ორგანიზაციის მდივანსა და მის მოადგილეს.

პირველადი და საამქრო პარტორგანიზაციების მდივნებისათვის სავალდებულოა სულ ცოტა ერთი წლის პარტიული სტაჟი.

პირველადს პარტორგანიზაციებში, რომლებიც პარტიის 150-ზე ნაკლებ წევრს აერთიანებენ, განთავისუფლებული პარტიული მუშაკების თანამდებობანი, როგორც წესი, არ არის.

57. მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში, სადაც პარტიის 200-ზე მეტი წევრი და კანდიდატია, ხოლო საჭირო შემთხვევებში, საწარმოო თავისებურებათა და ტერიტორიული გაფანტულობის გათვალისწინებით იმ ორგანიზაციებშიც, სადაც 100-ზე მეტი კომუნისტია, საოლქო კომიტეტის, სამხარეო კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნებართვით შეიძლება შეიქმნას პარტიული კომიტეტები, ამასთან ამ საწარმოთა, დაწესებულებათა საამქრო პარტიულ ორგანიზაციებს მიენიჭოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციის უფლებები.

კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კომიტეტები შეიძლება შეიქმნას, თუ იქ 50 კომუნისტია.

პარტკომს ირჩევენ ერთი წლის ვადით, მის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საერთო პარტიული კრება, კონფერენცია.

58. პირველადი პარტიული ორგანიზაცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სკკპ პროგრამით და წესდებით. იგი ეწევა მუშაობას უშუალოდ მშრომელებში, აკავშირებს მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო, რაზმავს მასებს პარტიის პოლიტიკის განსახორციელებლად, კომუნიზმის აშენებისათვის საბრძოლველად.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია:

ა) ირჩევს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში ახალ წევრებს;

ბ) ზრდის კომუნისტებს პარტიის საქმისადმი ერთგულების, იდეური სიმტკიცის, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით;

გ) აწყობს კომუნისტების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში, იბრძვის მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიონისტულ დამახინჯებათა ყოველი ცდისა და მისი დოგმატური განმარტების წინააღმდეგ;

დ) ზრუნავს კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის შრომაში, საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების, სასწავლებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში და სხვ.;

ე) გამოდის მშრომელთა ორგანიზატორად კომუნისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების გადაწყვეტაში, მეთაურობს სოციალისტურ შეჯიბრებას სახელმწიფო გეგმებისა და მშრომელთა ვალდებულებების შესრულებისათვის, რაზმავს მასებს საწარმოთა და კოლმეურნეობათა შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და უკეთ გამოყენებისათვის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის, იბრძვის შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ზრუნავს საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი სიმდიდრის დაცვისა და გამრავლებისათვის;

ვ) აწარმოებს სააგიტაციო-მასობრივ და პროპაგანდისტულ მუშაობას, ზრდის მასებს კომუნიზმის სულისკვეთებით, ეხმარება მშრომელებს გამოიმუშაონ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვის ჩვევები;

ზ) კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის საფუძველზე ეწევა ბრძოლას ბიუროკრატიზმის, კუთხურობის გამოვლინებათა, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა წინააღმდეგ, აღკვეთს სახელმწიფოს მოტყუების ცდებს, იღებს ზომებს მოშვებულობის, უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში;

თ) ხელს უწყობს საოკრუგო კომიტეტს, საქალაქო კომიტეტს, რაიკომს მთელ საქმიანობაში და ანგარიშს აბარებს მას თავისი მუშაობის შესახებ.

პარტიული ორგანიზაცია უნდა ცდილობდეს, რომ თვითეული კომუნისტი მთელ თავის ცხოვრებაში თვითონ იცავდეს და მშრომელებს უნერგავდეს სკკპ პროგრამაში — კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსში ჩამოყალიბებულ ზნეობრივ პრინციპებს, როგორიც არის:

— კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება, სოციალისტური სამშობლოსადმი, სოციალიზმის ქვეყნებისადმი სიყვარული;

— კეთილსინდისიერი შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ: ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს;

— თვითეულის ზრუნვა საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის; საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, შეუწყნარებლობა საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევებისადმი;

— კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის;

— ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთპატივისცემა ადამიანთა შორის: ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმა;

— პატიოსნება და სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე, უბრალოება და თავმდაბლობა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში;

— ურთიერთპატივისცემა ოჯახში, ზრუნვა ბავშვების აღზრდისათვის;

— შეურიგებლობა უსამართლობისადმი, მოქთახოროობისადმი, უპატიოსნობისადმი, კარიერიზმისადმი, მომხვეჭელობისადმი;

— სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა და ძმობა, შეუწყნარებლობა ეროვნული და რასობრივი მტრობისადმი;

— შეურიგებლობა კომუნიზმის, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმის მტრებისადმი;

— ძმური სოლიდარობა ყველა ქვეყნის მშრომელებთან, ყველა ხალხთან.

59. საწარმოო და სავაჭრო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, აგრეთვე წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული საპროექტო ორგანიზაციების, საკონსტრუქტორო ბიუროების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების პირველადი პარტიული ორგანიზაციები სარგებლობენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებით.

სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, სახალხო მეურნეობის საბჭოების და სხვა ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა, სამეურნეო დაწესებულებებისა და უწყებების პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც არ სარგებლობენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის ფუნქციებით, აქტიურ გავლენას უნდა ახდენდნენ აპარატის მუშაობის სრულყოფაზე, ზრდიდნენ თანამშრომლებს მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, იღებდნენ ზომებს სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის, მტკიცე ბრძოლას ეწეოდნენ ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან, დროზე აცნობებდნენ შესაბამის პარტიულ ორგანოებს, რა ნაკლოვანებანი აქვთ მუშაობაში დაწესებულებებს, აგრეთვე ცალკეულ მუშაკებს, მიუხედავად იმისა, თუ რა პოსტი უჭირავთ მათ.

VII. პარტია და კომკავშირი

60. ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი ახალგაზრდობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, პარტიის აქტიური თანაშემწე და რეზერვია. კომკავშირი ეხმარება პარტიას ზრდიდეს ახალგაზრდობას კომუნიზმის სულისკვეთებით, იზიდავდეს მას ახალი საზოგადოების პრაქტიკულ მშენებლობაში, ამზადებდეს ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა თაობას, რომლებიც იცხოვრებენ, იმუშავებენ და საზოგადოებრივ საქმეებს განაგებენ კომუნიზმის დროს.

61. კომკავშირულ ორგანიზაციებს ფართო ინიციატივის უფლება აქვთ სათანადო პარტიული ორგანიზაციების წინაშე საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების მუშაობის საკითხების დაყენებასა და განხილვაში. ისინი საქმით უნდა იყვნენ პარტიული დირექტივების აქტიური განმახორციელებლები კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში, განსაკუთრებით იქ, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ არის.

62. სრულიად საკავშირო ალკკ თანამედროვე [illegible] ციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. სრულიად საკავშირო ალკკ ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობას წარმართავენ და კონტროლს უწევენ შესაბამისი რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციები.

ადგილობრივი პარტიული ორგანოები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობაში ეყრდნობიან კომკავშირულ ორგანიზაციებს, მხარს უჭერენ და ავრცელებენ მათს სასარგებლო წამოწყებებს.

63. სრულიად საკავშირო ალკკ წევრები, რომლებიც პარტიის წევრები ან წევრობის კანდიდატები არიან, კომკავშირიდან გადიან პარტიაში მათი შესვლის მომენტიდან, თუ ხელმძღვანელი პოსტები არ უჭირავთ კომკავშირულ ორგანიზაციებში.

VIII. პარტიული ორგანიზაციები საბჭოთა არმიაში

64. საბჭოთა არმიის პარტიული ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სკკპ პროგრამითა და წესდებით და მუშაობენ იმ ინსტრუქციების საფუძველზე, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტი ამტკიცებს.

საბჭოთა არმიის პარტიული ორგანიზაციები უზრუნველყოფენ პარტიის პოლიტიკის განხორციელებას შეიარაღებულ ძალებში, რაზმავენ მათს პირად შემადგენლობას კომუნისტური პარტიის გარშემო, ზრდიან მეომრებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, აქტიურად უწყობენ ხელს არმიისა და ხალხის ერთიანობის განმტკიცებას, ზრუნავენ მხედრული დისციპლინის განმტკიცებისათვის, რაზმავენ პირად შემადგენლობას საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ამოცანების შესრულებისათვის, ახალი ტექნიკისა და იარაღის დაუფლებისათვის, თავისი მხედრული მოვალეობის, სარდლობის ბრძანებათა და განკარგულებათა უნაკლოდ შესრულებისათვის.

65. შეიარაღებულ ძალებში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობას სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს მეშვეობით, რომელიც მუშაობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების უფლებებით.

ოლქებისა და ფლოტების პოლიტსამმართველოთა უფროსებისათვის, არმიების პოლიტგანყოფილებათა უფროსებისათვის სავალდებულოა ხუთი წლის, ხოლო შენაერთების პოლიტგანყოფილებათა უფროსებისათვის — სამი წლის პარტიული სტაჟი.

66. საბჭოთა არმიის პარტიულ ორგანიზაციებსა და პოლიტორგანოებს მჭიდრო კავშირი აქვთ ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებთან, სისტემატურად აწვდიან მათ ინფორმაციას ჯარის ნაწილებში წარმოებული პოლიტმუშაობის შესახებ. სამხედრო პარტიული ორგანიზაციების მდივნები და პოლიტორგანოების ხელმძღვანელები მონაწილეობენ ადგილობრივი პარტიული კომიტეტების მუშაობაში.

IX. პარტიული ჯგუფები პარტიისგარეშე ორგანიზაციებში

67. ყრილობებზე, კონფერენციებზე, თათბირებზე, რომლებსაც საბჭოთა, პროფკავშირული, კოოპერაციული და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციები იწვევენ, აგრეთვე ამ ორგანიზაციების არჩევითს ორგანოებში, სადაც პარტიის სამი წევრი მაინც არის, იქმნება პარტიული ჯგუფები. ამ ჯგუფების ამოცანაა პარტიის გავლენის ყოველმხრივ გაძლიერება და მისი პოლიტიკის განხორციელება უპარტიოთა შორის, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცება, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, პარტიული და საბჭოთა დირექტივების შესრულების შემოწმება.

68. პარტიული ჯგუფები ექვემდებარებიან შესაბამის პარტიულ ორგანოებს: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის სამხარეო კომიტეტს, საოლქო კომიტეტს, საოკრუგო კომიტეტს, საქალაქო კომიტეტს, რაიონულ კომიტეტს.

პარტიული ჯგუფები მოვალენი არიან ყველა საკითხში მტკიცედ და განუხრელად ხელმძღვანელობდნენ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებებით.

X. პარტიის ფულადი სახსრები

69. პარტიისა და მისი ორგანიზაციების ფულადი სახსრები შედგება საწევრო შესატანისაგან, პარტიის საწარმოთა შემოსავლისა და სხვა შემოსატანისაგან.

70. ყოველთვიური საწევრო შესატანი პარტიის წევრებისა და კანდიდატებისათვის წესდება შემდეგი ოდენობით:

ვისაც აქვს გამომუშავება თვეში		
50 მანეთამდე, შეაქვს		10 კაპიკი
51-დან 100 მანეთამდე	„	0,5 პროცენტი
101-დან 150 მანეთამდე	„	1,0 პროცენტი
151-დან 200 მანეთამდე	„	1,5 პროცენტი
201-დან 250 მანეთამდე	„	2,0 პროცენტი
251-დან 300 მანეთამდე	„	2,5 პროცენტი
300 მანეთზე მეტი	„	3,0 პროცენტი

თვიური გამომუშავებისა.

71. შესასვლელი შესატანი პარტიის წევრობის კანდიდატად შესვლისას გადახდილ უნდა იქნას თვიური გამომუშავების ორი პროცენტის ოდენობით,

ყრილობის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში!

ასეთია საქართველოს მშრომელთა ფიქრები და პირველი ნაბიჯები

რეპორტაჟი

✦

ორ კვირას გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდი ფორუმი.

ორი კვირის მანძილზე მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან ათეული მილიონობით წყვილი თვალი მიპყრობილი იყო მოსკოვისაკენ, კრემლის ყრილობათა სასახლისაკენ, სადაც კომუნიზმის მშენებელთა XXII ყრილობის დელეგატები — კომუნისტთა წარგზავნილები, ხალხის ფიქრთა და ინტერესთა გამომხატველნი წყვეტდნენ კაცობრიობის ისტორიის ყველაზე უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ყრილობის დღეებში ჩვენი ქვეყნის კიდით კიდემდე აზვირთდა ენთუზიაზმისა და შემოქმედების მძლავრი ტალღა, რომელიც სულ უფრო ძლიერდება და თან მოაქვს საბჭოთა ხალხის დიგვამირული შრომით მოპოვებულ გამარჯვებათა სისარული.

ფრთაშესხმა — აი ის დიდებული სიტყვა, რომელიც ყველაზე სრულად და ნათლად გამოხატავს საქართველოს მშრომელების განწყობილებას ისტორიული XXII ყრილობის შემდეგ. ისინი აღსავსენი არიან რწმენით, რომ თვითეული მათგანის თავდადებული შრომა ცხოვრების ყველა უბანზე მნიშვნელოვანი წვლილი იქნება კაეობრიობის ხვალინდელი დღის — კომუნიზმის დამკვიდრებაში.

დიადი მიზანი დიდ ენერგიას ბადებს. დღეს ამას გრძნობ ყველგან და ხედავ ყველა საბჭოთა ადამიანში.



ან. ხარაიშვილი დღეისათვის 1962 წლის მეორე კვარტალის ანგარიშში მუშაობს.

* * *

ჯაულ-კომკოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“. საქსოვი საამქრო. იქსოვება ასობით ზეგეგმიანი მეტრი ქსოვილი. თავდადებით შრომობენ ფეიქრები. ძნელია ჩამოთვლა ყველა აქ მომუშავე მოწინავეთა სახელები. ისინი ბევრნი არიან — სახელოვანი მშრომელები.

კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. კრაწაშვილი მოვიკითხეთ, რომელიც შესვენებაზე გასულიყო და მალე საამქროს შემოსასვლელში გამოჩნდა — დაბალი ტანის, მომღიმარი სახით. ხელში გაზეთის ახალი ნომერი ეჭირა. ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვა ეთქვა მის ბრიგადაზე.

— როგორც მთელი ჩვენი საწარმოს კოლექტივი, ისე ჩვენი ბრიგადაც, — თქვა მან, — შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს XXII ყრილობის მუშაობას, რომელმაც მიიღო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა.

ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ყრილობის დღეებში ათი თვის გეგმა წარმატებით გაანაღდა და 8.000 მეტრი ქსოვილი გამოუშვა. მე და ჩემს თანამრიგადელებს განსაკუთრებით გვეამაყება, რომ შრომა ღირსეულად დაგვიფასდა — ჩვენს ბრიგადას XXII ყრილობის სახელი მიეკუთვნა. ეს დიდი პატივია და პირობას ვაძლევთ სამშობლოს, პარტიას, რომ მუდამ შრომითი გამარჯვებების გზით ვივლით, წლიურ გეგმას ვადამდე 5 დღით ადრე შევასრულებთ და გეგმის ზევით 2.200 მეტრ მაღალი ხარისხის ქსოვილს გამოვუშვებთ.

გიორგი კრაწაშვილი სიტყვის კაცია, ასე ამბობენ ამ საწარმოში.

ახალი შრომითი შემართებით ცხოვრობენ ამ დღეებში ჭიათურელი მაღაროელები.

ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა ისტორიული ყრილობა დამთავრდა. გაზეთები ხელიდან ხელში გადადის — მაღაროელები ეცნობიან ეპოქის ყველაზე დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს, საუბრობენ, მსჯელობენ და ყველა ამ საუბრის თემა ერთია — პარტია, ყრილობა, კომუნიზმი.

— გული სიამაყის გრძნობით ივსება, როდესაც ასე რეალურად, ასე ნათლად ხედავ შენი თაობის დიდებულ მომავალს, მომავალს, რომელზეც ოცნებობდნენ საუკუნეობით, ოცნებობენ ახლაც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, მომავალს, რომლის შენების გრანდიოზული პროგრამა დასახა ჩვენმა პარტიამ და რომელსაც ჰქვია კომუნიზმი.

კომუნიზმი მილიონობით საბჭოთა ადამიანის ხელმა უნდა გამოქედოს, და ამიტომ ყველა ჩვენგანის წმიდა ვალია თავის უბანზე გაათკეცებული ენერგიით შრომობდეს, იბრძოდეს სახალხო დოვლათის სიუხვისათვის.

დღეისათვის 1962 წლის მეორე კვარტალის ანგარიშში ვმუშაობ და დავალებებს სისტემატურად ორმაგად და მეტად ვასრულებ. ენერგიას, ძალას არ დავიზუოგ, რათა ჩემი მცირე წვლილი შევიტანო მშობლიური პარტიის დიადი გეგმის განხორციელებაში, — ასე ამბობს სტალინის სახელობის მაღაროს VI უბნის მებაგე კომუნისტური შრომის დამკვრელი ან. ხარაიშვილი, და ეს სიტყვები მარტო მისი ნათქვამი როდია, ეს სიტყვები დღეს ყველა ჭიათურელი მაღაროელის გულშია.

მოწინავე მრანდავები ნოდარ არჩვაძე (მარჯვნივ) და ზაურ ზურაბაშვილი. მათ წარმატებით დაამთავრეს საყრილობო შრომითი ვაჭტი — გაანაღდეს ნოემბრის დავალება.

თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. მექანიკურ საამქროში საწარმოს კოლექტივის შრომითს წარმატებებზე გვესაუბრება ქარხნის დირექტორი ა. ალანია.

— შეგნება იმისა, რომ შენმა ხალხმა, შენმა ქვეყანამ პირველმა იკისრა უდიდესი ისტორიული მისია, მისია კომუნიზმის მშენებლობისა, თვითეულ ჩვენგანს ახალ-ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის აღაფრთოვანებს.

საწარმოს ბევრმა მოწინავე მუშამ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა ოქტომბრის თვის გეგმა. ასეთი მოწინავენი ჩვენთან მრავლად არიან. აი თუნდაც ესენი — გვეუბნება იგი და იქვე გულთბილად მოსაუბრე ორ ახალგაზრდაზე მიგვითითებს, — მოწინავე მრანდავები ნოდარ არჩვაძე და ზაურ ზურაბაშვილი. მათ წარმატებით დაამთავრეს საყრილობო ვაჭტი და დიდი ოქტომბრის დღეასასწაულს კარგი შრომითი საჩუქარი მიუძღვნეს — შეასრულეს ნოემბრის დავალება.

ვიროობა გავანაღდეთ!—გიპასუხებთ ფუთელი კოლმეურნე, როდესაც საუბარს მათი კოლმეურნეობის შრომითს წარმატებებზე ჩამოუგდებთ. გიპასუხებთ მოკლედ, ორი სიტყვით, მაგრამ მიხვდებით, რომ აქ ლაპარაკია დიდ შრომასა და დიდ სახარულზე.

და მართლაც, ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის აკ. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა მშობლიური პარტიის XXII ყრილობას შესანიშნავი შრომითი საჩუქარი მიუძღვნეს — თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 48 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღეს, ხოლო მაღალმოსავლიან ნაკვეთზე — ჰექტარზე საშუალოდ 67 ცენტნერი. გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, სიმინდისა და ამბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა.

— ეს პასუხია იმ დიდ ზრუნვაზე, რომელსაც პარტია იჩენს საბჭოთა ხალხისადმი, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ციალა გელაშვილი. — ამ ზრუნვის კიდევ ერთი ბრწყინვალე დადასტურებაა პარტიის პროგრამა, რომლის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი დაბადებულია ბედნიერებისათვის.

„სახელმწიფო ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო წყობილების საწარმოო ძალების ზრდას, ყველა კოლმეურნეობის ეკონომიურ აღმავლობას. ამავე დროს უნდა გაიზარდოს კოლმეურნე გლეხობის წვლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში“ — ნათქვამია პროგრამაში და ჩვენ, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, თავდადებით ვიბრძოლებთ, რათა დღითიდღე ვზარდოთ ეს წვლილი.

ვენინის რაიონის მე-4 საშუალო სკოლაში გაკვეთილი დამთავრდა. წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები დერეფანში გამოეფინენ, მათი სიცილ-კასკასი ავსებდა იქაურობას. პიონერთა ოთახში შევედით. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ვერა გოჩიტაშვილს პიონერები გარს შემოხვეოდნენ და საქმიანად საუბრობდნენ.

იქვე მაგიდაზე კიდლის გაზეთის მორიგი ნომერი გაეშალათ, რომელიც ნორჩებმა ყრილობის დამთავრებას მიუძღვნეს და პატარა საგაზეთო წერილებში სიყვარულით ჩაქსოვეს თავიანთი უსაზღვრო მადლობის

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები თავდადებით ვიბრძოლებთ, რათა დღითიდღე ვზარდოთ ჩვენი წვლილი კომუნიზმის მშენებლობაში — ასე ამბობს ციალა გელაშვილი.

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ვერა გოჩიტაშვილს პიონერები გარს შემოხვეოდნენ და საქმიანად საუბრობდნენ...

* * *

გამომხატველი სიტყვები პარტიისა და მთავრობისადმი, ბედნიერი ბავშვობისა და კიდევ უფრო ნათელი მომავლისათვის. — კომუნიზმი ცოდნას აძლევს ყველას: მასების ცოდნაში, მათს მაღალ კულტურაში პოულობს იგი ძალებსა და რწმენას წარმატებით წინსვლისათვის.— ნიკიტა სერგის-ძის ეს ძვირფასი სიტყვები, — გვითხრა ბედგაგმა ვ. გოჩიტაშვილმა, — მომავალი თაობის აღმზრდელებს გვავალებს ენერგიის მთელი დაძაბვით ვიშრომოთ, რათა აღვზარდოთ კომუნიზმის მშენებელთა ღირსეული ცალი.



— ყრილობის დღეებში სამშენებლო საქმის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა სეისმური ბაქნის დამონტაჟება — გვეუბნება აკადემიკოსი ვ. მახალდიანი.

* * *

ბლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელება მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომ მზარდ განვითარებას მოითხოვს და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მეცნიერები ღირსეულ წვლილს შეიტანენ ამ დიად საქმეში.

ეს ადამიანები რიგითი წარმომადგენლები არიან კომუნიზმის მშენებელთა იმ მრავალმილიონიანი არმიისა, რომლის შრომა, ნაზრევი შთაგონებულია პარტიის XXII ყრილობის გადწყვეტილებებით, კომუნიზმის დიადი იდეებით.

ბ. სამსონაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა და ბ. დადვაძისა.

საკლესიო განცხადება

ბმას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ განცხადება გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციაზე ატომური იარაღის გამოცდის გამო.

ამასთან დაკავშირებით საკრებულს დავალებული აქვს შემდეგი განაცხადოს:

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განმასვლა ვერ აკმაყოფილებს იმათ მისწრაფებებს, ვინც გულწრფელად ცდილობს შეწყდეს გამლებული ატომური შეიარაღება. არსებითად მისი ნათქვამი ბეგრით როდი განსხვავდება იმ მტკიცებათაგან, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოთა ოფიციოზური პროპაგანდა დღითიდღე იმეორებს იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირი ნატოს სახელმწიფოთა მკვეთრად გაზრდილი სამხედრო მზადების გამო იძულებული გახდა მოეწყო ატომური იარაღის საცდელი აფეთქება.

ყურადღებას იპყრობს სხვა რამე. ის, რასაც წინათ ხმამაღლა, ნახევრადგადაჭრულად ამბობდნენ, ახლა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა უკვლას გახაგონად გამოაცხადა: ამერიკის შეერთებული შტატები ემზადებიან განახლონ ატომური იარაღის გამოცდა ატმოსფეროში.

ჯერ კიდევ ორიოდე თვის წინათ ყველას როდი ჰქონდა შეგნებული, რომ ომენეკის უნაყოფო მოლაპარაკების უკან ამერიკის შეერთებული შტატები ინტენსიურ მზადებას აწარმოებდნენ ატომური იარაღის გამოცდის განახლებისათვის. ახლა ყოველი ეჭვი ამის შესახებ თვითონ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გააქარწყლა. ახლა უნდათ ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდას, რომელიც უკვე ხორციელდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, დაუმატონ კიდევ ატომური იარაღის გამოცდა ატმოსფეროში, გამოცდა, რომელიც, ჯ. კენედის განცხადების მიხედვით, განხორციელდება, როგორც კი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამას საჭიროდ მიიჩნევს.

იმდენად კითხვა, ამ პირობებში რაზე ამყარებს ვარაუდს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, როცა განაგრძობს მუვირალა პროპაგანდისტული კამპანიის გაძლიერებას ატომური იარაღის გამოცდის გამო საბჭოთა კავშირში?

იქნებ, ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ მსოფლიოს დააფიწყდა ცივილიზებული კაცობრიობისათვის სამარცხვინო დღეები 1945 წლისა, როცა პირველი ატომური ბომბები ჩამოყარეს ამერიკის ბომბდამშენებიდან, თუმცა მეორე მსოფლიო ომის დასასრული უკვე დიდხანია ნინასწარ გადაწყვეტილი იყო—ჰიტლერული გერმანია დამხობილ იქნა, იაპონია კი კაპიტულაციის მიჯნაზე იყო? არა, ვერავინ ვერ დაიფიწყებს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არა მარტო პირველმა დაიწყეს ატომური იარაღის გამოცდა, არამედ კიდევაც გამოსცადეს მასობრივი მოსპობის ეს იარაღი მოკმედებაში, ცოცხალ ადამიანებზე: მოხუცებზე, ქალებზე, ბავშვებზე, რომლებიც სამუდამოდ დარჩნენ ხალხთა ხსოვნაში, როგორც მსხვერპლნი ხიროსიმასა და ნაგასაკის ბარბაროსული დამობმბვისა, რომელიც არ ეოფილა გამოწვეული რაიმე სამხედრო აუცილებლობით. ამაო იქნება ვეძიოთ ამ მოკმედების დაგმობა იმათ განცხადებებში, ვისაც დღეს უპყრია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის საჯე.

ანდა იქნებ ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ მოახერხებენ სათვალთვალან ამოაგდონ ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ატომური იარაღის გაცილებით მეტი გამოცდა მოაწყეს, ვიდრე საბჭოთა კავშირმა?

უკვე მარტო ის, რომ სსრ კავშირმა ნაკლები ასეთი გამოცდა მოაწყო, ვიდრე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — ხოლო მით უმეტეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა ერთად, საბჭოთა კავშირს აძლევდა ყველა საუფლებელს, სრულ მორალურ უფლებას იმისათვის, რომ შეეთანასწორებინა მდგომარეობა და არ დაეშვა განსხვავება ატომური იარაღის საბჭოთა კავშირის მიერ მოწყობილი გამოცდის რაოდენობასა და ნატოს სამხედრო ბლოკის ქვეყნების მიერ მოწყობილი გამოცდის რაოდენობას შორის.

მთლად უნდა დაკარგო რეალურის გრძნობა, რომ მოელოდე, რომ ნატოს სახელმწიფოთა იარაღის ჩხარუნის პასუხად მეორე მხარე არ გამოიყენებს ყველა იმ შესაძლებლობას, რაც კი მოეთვება თავისი უშიშროების განსამტკიცებლად.

საბჭოთა მთავრობას არაერთხელ განუმარტავს, რომ მხოლოდ უკიდურესმა საჭიროებამ აიძულა იგი გადაედგა ისეთი ნაბიჯი, როგორიც არის ატომური იარაღის გამოცდის მოწყობა. ნატოს ქვეყნები გაფაციცებით რომ არ ზრდიდნენ შეიარაღებას, არ ადიდებდნენ სამხედრო ასიგნობებს და არმიათა რიცხვს, არ გადმოყავდეთ შეიარაღებული ძალები სოციალისტური სახელმწიფოების საზღვრებთან რაც შეიძლება უფრო ახლო, რომ არ ისმოდეს იარაღის ჩხარუნი ბერლინში, საფრანგეთი რომ არ განაგრძობდეს ატომური იარაღის აფეთქებას, რომელის მეცნიერული და ტექნიკური შედეგები ნატოს საერთო ქვაბში მიდის, არც ის მიზეზები წარმოეთქმოდა, რომლებმაც გარდუვალი გახადა, რომ საბჭოთა კავშირს განეახლებინა ატომური იარაღის გამოცდა.

საკმარისია აგრეთვე შეეხედოთ რუკას, სადაც აღნიშნულია ამერიკის სამხედრო ბაზების — აგრესიის ამ ტრამპლინების რკალი, რომლებიც დამიზნებულია საბჭოთა კავშირისა და მისი მეგობარი ქვეყნების წინააღმდეგ, რომ კიდევ და კიდევ შეეგნოთ, თუ რაოდენ დასაბუთებული და გადაუდებელია ღონისძიებანი, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებს თავისი ქვეყნის სამხედრო ძალიერების განსამტკიცებლად. განა შეეძლო საბჭოთა კავშირს არ განეხორციელებინა თავდაცვის ღონისძიებანი, მაშინ როცა ნატოს სახელმწიფოები პირდაპირ იმუქრებიან, რომ ძალას მიმართავენ იმის პასუხად, თუ საბჭოთა კავშირი გერმანიის საზღვარ ხელშეუხლელებას დადებს? არა, საბჭოთა კავშირს არ შეეძლო ასე მოქცეულიყო. საბჭოთა მთავრობა სხვანაირად რომ მოქცეულიყო, ამას არ ამატებდნენ არც საბჭოთა ხალხი, რომელსაც ესოდენ ძვირად დაუჯდა ის, რომ დედამიწაზე კვლავ დამკვიდრებულიყო მშვიდობა, არც ხალხები სხვა ქვეყნებისა, რომლებიც მის მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო ბრძოლა წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხს არ დავიწყებია ის, რომ 1941 წელს აგრესორი, ზოგიერთი იმ სახელმწიფოს წაქეზებით, რომლებიც ახლა ტანს იძლიერებენ ნატოში, ვერაფერულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. ჰიტლერელთა თავდასხმის შედეგები კარგად ახსოვს ჩვენს ხალხს. მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილი ის არის, რომ საჭიროა თავის დროზე და გადაჭრით შეიბოჭოს აგრესია ძალები. და ეე იციოდეს პოტენციურმა აგრესორმა, ვინც უნდა იყოს იგი, რომ საბჭოთა ხალხს მოეპოვება იმის საშუალება, რომ დაიცვას თავისი სამშობლო, თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მაგრამ, როგორც არაერთხელ განუცხადებია საბჭოთა მთავრობას, საბჭოთა კავშირი მზად არის ოკეანის ყველაზე ღრმა ადგილას ჩაძიროს მთელი ატომური იარაღი, ამ იარაღის ყველაზე უახლესი ნიმუშებიც კი, რომლებიც ჩვენ შევქმენით, თუ სხვა ქვეყნები თანახმა არიან იგივე გააკეთონ. თუ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ნამდვილად ზრუნავს კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, რატომ არ უნდა მოაწეროს ხელი საბჭოთა მთავრობის მეთაურთან ერთად ხელშეკრულებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ?

როგორც ჯ. კენედის განცხადებიდან ჩანს, ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ კვლავაც აწარმოონ ატომური იარაღის საცდელი აფეთქებანი, რადგან ისწრაფვიან მიაღწიონ უპირატესობას ატომურ შეიარაღებაში. ამავე დროს სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ს. ხრუშჩოვთან შეხვედრისას ვენაში აღიარა, რომ ამჟამად ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ძალთა წონასწორობაზე. საკითხავია, მაშ რაღა აზრი აქვს სულ უფრო დამანგრეველი და მომაკვდინებელი იარაღის შექმნის საქმეში მეტოქეობის გაძლიერების პოლიტიკას, რომელსაც, როგორც ეს ყველასთვის გასაგებია, მხოლოდ უფსკრულთან სულ უფრო ახლო მიჰყავს კაცობრიობა?

ვისთვის არ არის ნათელი აგრეთვე, რომ თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მათმა მოკავშირეებმა განაგრძეს ატომური იარაღის გამოცდა და მით უფრო თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაახლეს ატომური იარაღის გამოცდა ატმოსფეროში, მეორე მხარე ფიზიზლად ადეკვნებს თვალუყურს ამ საომარ მზადებას და უწინარეს ყოვლისა ატომური იარაღის სრულყოფის ნაბიჯებს, რადგან იგი ვერ დაუშვებს, რომ მისი უშიშროების ინტერესები საიმედოდ არ იყოს უზრუნველყოფილი. გარემოებათა გამო ეს მეორე მხარე მაშინ იძულებული გახდება კვლავ გააკეთოს თავისთვის სათანადო დასკვნები ატომური იარაღის გამოცდის მხრივაც. თავისთავად გასაგებია, რომ გამლებული ატომური შეიარაღების განგრძობისა და ატომური იარაღის გამოცდის განხორციელებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დაეკისრება.

ცხოვრებას იმის სულ ახალი და ახალი დამაჯერებელი საბუთები მოაქვს, რომ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის გადაჭრა უნდა ვეძებოთ არა გამლებული შეიარაღების გაძლიერებაში, არამედ სულ სხვა რამეში — გონიერებისა და ღონისძიებათა, პირველ რიგში ყველაზე დიდი სახელმწიფოების ღონისძიებათა გაერთიანების გზაზე იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მალე გადაიჭრას განიარაღების მთელი პრობლემა. საბჭოთა კავშირი ყოველთვის იმას ემყარებოდა და ემყარება, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლია კაცობრობას, რომ ეს ამოცანა შეიძლება გადაწყდეს, თუ სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებსაც ხალხების წინაშე აკისრიათ პასუხისმგებლობა მშვიდობის ბედისათვის, იხელმძღვანელებენ ერთი უდაეო დებულებით, სახელდობრ იმით, რომ მრისხანე საომარი მანქანა, რომელიც სახელმწიფოთა განკარგულებაშია, ადამიანის ხელმა შექმნა და ადამიანისავე ხელს შეუძლია დაამსხვრიოს და მოსპოს იგი.

საბჭოთა მთავრობას უკვე არაერთხელ მიუმართავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის, აგრეთვე სხვა ატომურ სახელმწიფოთა მთავრობებისათვის მოწოდებით: მოდით შევწყვიტოთ გამლებული შეიარაღება იმ გზით, რომ დაედოთ ხელშეკრულება მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. საბჭოთა მთავრობის ეს მოწოდება მთლიანად ძალაში რჩება და იგი მსოფლიოს გასაგონად გაისმა სკკპ ისტორიული XXII ყრილობის ტრიბუნიდან, რომელმაც დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდებული პროგრამა.

საკდესს დავალებული აქვს გამაცხადოს, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში კვლავ ადასტურებენ, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის თუნდაც ღღესვე მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომლის საფუძველზე ერთხელ და სამუდამოდ შეწყდება ატომური იარაღის გამოცდაც. მზად არის თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას პრეზიდენტი ჯ. კენედი, გააკეთოს ეს? ხალხებს უფლება აქვთ მოელოდნენ პასუხს ამ კითხვაზე.

ქუთაისის „ტორპედო"—„ა" კლასში

ათი წლის შემდეგ საქართველოდან ორი გუნდი კვლავ ითამაშებს ტყავის ბურთის უძლიერეს ოსტატთა საკავშირო ჩემპიონატში. რამდენი სიხარული მოკფინა ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს გუშინდელმა დღემ. მოლდავეთის რესპუბლიკის დედაქალაქ კიშინიოვში ქუთაისის „ტორპედომ" დაამარცხა თბილისის „ლოკომოტივი" 2:1. ამ მატჩის მოგებით ქუთაისის „ტორპედომ" მოკრძალებით „შეაღო" მომავალი დიდი სეზონის უძლიერესთა ჩემპიონატის კარი.

ჩემპიონატი დაძაბული იყო. ქუთაისელთა პირველი და უკანასკნელი დამარცხება კიშინიოვის ტურნირში ტალინის „კალევთან"... თამაშის დამთავრების შემდეგ ტორპედოელები გასახდელში თავჩაქინდრულნი არიან, როგორც იტყვიან, მათ დანა პირს არ უსსნით. წელთაცვლით გამოვიდნენ ეაჩაში. იქვე მდგომ ავტობუსს ზურგი შეაქციეს და სასტუმროში ქვეითად დაბრუნდნენ...

მაგრამ რამდენიმე მოელვარე დღე, და პირველი ორი ქულა თბილისის „ლოკომოტივთან". ერთი დღის შესვენების შემდეგ მოედანზე კვლავ გამოვიდენ მეტოქეს ტალინის „კალევს" შეხვდნენ. ქართველი ფეხბურთელები მარდად დაეკრნენ მწვანე მინდორზე. ტემპი, სამხრეთული ტემპერამენტი. ტორპედოელები მოედნის ბატონ-პატრონი არიან. ცენტრალური თავდამსხმელის ჯუმბერ ხაჭალიას უძლიერესი დარტყმა და ბურთი ბადეშია, ატაკებენ, კოცნა. მსაჯის ფინალური სასტვენის ხმა და თურთმეტი ქართველი ჭაბუკი ამაყად ტოვებს მოედანს.

გუშინ კვლავ ცოტაოდენი მდელვარებისა და დაძაბული ბრძოლის შემდეგ სანეტარო გამარჯვება მათ ხელშია. რადიორეპორიორუქტორებთან მჯდომი ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრები ალბათ აღფრთოვანა ჩვენი რადიოკომენტატორის ერონი მანჯაგლაძის სიტყვებმა — ქუთაისის „ტორპედო" 1962 წელს „ა" კლასში ითამაშებს.

მაგრამ დიქტორი როგორ გადმოსცემდა იმ დიდ სიხარულს, რომელსაც თვით ამ ასპარეზობის მონაწილენი განიცდიდნენ. ტორპედოელები იმავე გასახდელ ოთახში შეეიყენენ, სადაც ათი დღის წინათ გულდაწყვეტილი შეკუნურებდნენ ერთმანეთს პირველი დამარცხების გამო. ახლა ისინი აღტაცებას ვერ ფარავდნენ.

გუსურეთო „ა" კლასის ახალბედას — ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდს კვლავაც ისე გაუხარებინოს გულშემატკივრები, როგორც გუნინ.

ვუსურეთო ყოფილიყოს ისე მაგრად შეკრული კოლექტივი, როგორიც უძველესი ბაკრატის ტაძრის კედლებია. ვუსურეთო ისეთი ენერგია, როგორიც მქუხარე რიონის ბობოქარ ტალღებსა აქვთ.

ხვალ, საყოველთაო სახალხო ზეიმის ღღეს, ქუთაისელი ფეხბურთელები ზეიმით შეალტენენ მშობლიური ქალაქის კარს და საერთო სიხარულსა და წარმატებას საკუთარ სიხარულს და გამარჯვებას შემატებენ.

ბ. ბახტურიძე.

ქ. კიშინიოვი.

• • •

სურათზე: ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდი.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ექვსი ტურის შემდეგ

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ქალაქი — ვრნიაჩკა-ბანია ჭადრაკის მოყვარულთა უურადღების ცენტრშია.

მეხუთე ტურში მაყურებელთა საერთო ინტერესს იწვევდა ნ. გაფრინდაშვილის შეხვედრა კ. ზვორიკინასთან. ქართველი ოსტატი თამაშობდა შავებით. გათამაშდა ესპანური პარტია, სადაც ნ. გაფრინდაშვილმა შეინარჩუნა პოზიცია მიიღო. ბრძოლის გართულების მიზნით გაფრინდაშვილმა მეტოქეს პაიკი შესწირა და შეძლო წონასწორობის აღდგენა. პარტია გადაიდო საყაიმო მდგომარეობაში.

ამ ტურში კიდევ სამი პარტია გადაიდო. ბორისენკოს უკეთესი მდგომარეობა აქვს ზატულოვსკაიასთან, ვოლპერტს ზედმეტი ხარისხი აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონთან ლეინთან. ასეთივე უპირატესობა აქვს ბუნდსურენს გრესერთან გადადებულ პარტიაში.

კონარკოვსკამ დაამარცხა ლაზარევიჩი, კარაკაშნემ — შოდე დე სილანი, პოლიქრონიადემ — რინდერი, ნიკოლაუმ — ჰეიმსკერკი.

მეექვსე ტურში ნ. გაფრინდაშვილი ისვენებდა. ლაზარევიჩმა მოუგო ჰეიმსკერკს, ნიკოლაუმ — ვოლპერტს. გრესერ-რინდერისა და კარაკაშნე-კონარკოვსკას პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმს დასჯერდნენ. დანარჩენი პარტიები გადადიდ.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ბორისენკომ დაამარცხა ზატულოვსკაია, ვოლპერტმა — ლეინი, ზვორიკინამ — ბორისენკო. კონარკოვსკა-ლეინის, ნიკოლაუ-ლეინის, შოდე დე სილანი-ბუნდსურენისა და პოლიქრონიადე-ნედელკოვიჩის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ზვორიკინა და გაფრინდაშვილი ბრძოლის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ.

ექვსი ტურის შემდეგ ლიდერია ნ. გაფრინდაშვილი, რომელსაც 4.5 ქულა აქვს 5-დან, მეორე და მესამე ადგილებს ოთხ-ოთხი ხეალრეგი ქულით ექვსიდან იყოფენ ლაზარევიჩი და კარაკაშნე. ნიკოლაუს 4 ქულა აქვს და მეოთხე ადგილზე იმყოფება.

ღღეს გაიმართება მეშვიდე ტური.

„ᲙᲠᲘᲚᲘᲐ ᲡᲝᲕᲔᲢᲝᲕᲘ"

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲗᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ

ᲙᲐᲡᲐᲚᲜᲝᲓᲐᲠᲘᲗ დამთავრდა რსფსრ ზონებში გამარჯვებული „ბ" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების დასკვნითი ასპარეზობა.

უკანასკნელი ტურის წინ აქ „ა" კლასიმი გადასვლის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვიეა" და გროზნოს „ტერეკის" გუნდები, რომლებსაც ექვსი-ექვსი ქულა ჰქონდათ.

უკანასკნელ ტურში „კრილია სოვეტოვმა" დაამარცხა ყალინინის „ოლკა" 3:1, ხოლო „ტერეკმა" ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა ციროვის „დინამოსთან".

ამრიგად, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა" 10 შესაძლებლობიდან 8 ქულა შეაგროვა, პირველი ადგილი დაიკავა ტურნირში და კვლავ უძლიერესთა რიგებში გადავიდა. იგი „ა" კლასში დაიკავებს ვორონეჟის „ტრუდის" ადგილს.

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲔᲑᲗᲐ ᲩᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲓᲐ

ᲑᲠᲫᲚᲓᲔᲑᲐ მსოფლიოს პირველობის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში. გადამწყვეტ შეჯიბრებაში იტალიის ფეხბურთელებმა დაამარცხეს ისრაელის გუნდი ანგარიშით 6:0 და მოიპოვეს ჩილის დასკვნითის ტურნირში მონაწილეობის უფლება.

ა. დენეგინის ნახატი ბულგარულ გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოდან".

უ ტანი გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელია

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 3 ნოემბერი. საკდესის სპეც. კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო იუწყება:

ღღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ, რომელიც სსრ კავშირის წარმომადგენლის ვ. ა. ზორინის თავმჯდომარეობით შეიკრიბა, მიიღო გადაწყვეტილება ურჩიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას დაინიშნოს გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის პოსტზე

ᲒᲐᲜᲘᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ

ᲐᲛᲘᲠᲘᲗ

**ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ